მილიონთა დიდი ესტაფეტა

12 აპრილს მასობრივი კომუნისტური შაბათობანი მთელი საქართველო ემზადებაო!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 აპრილი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 84 (14384)

ლექტორის მგზნებარე სიტყვა

ლექციის დამთავრდა. მსმენელები კმაყოფილი ტოვებენ დარბაზს. ადამიანები საუბრობენ ლექციაზე დასმულ საკითხებზე და ეს საუბარი გრძელდება ოჯახში, კოლექტივში.

ასეთ შემთხვევაში ლექციის მიზანი მიღწეულია. მან ადამიანებზე თავისი კეთილი კვალი დატოვა და ხელი შეუწყო მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას.

ლექტორი — მგზნებარე, პროპაგანდისტი, კეთილი და ჭკვიანი მრჩეველი — ყოველთვის სასურველი სტუმარია ადამიანთა კოლექტივისა. დღეს მასთან დიდი ინტერესით მიდის ხალხი, რათა მოისმინოს საინტერესო ამბები, მიიღოს დამაკმაყოფილებელი პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც მათ აღელვებს.

ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა ისეთ ლექტორთა კადრები, რომლებიც შემოქმედებითად და დიდი სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ კეთილშობილურ შრომას. ისინი ყოველდღე დაუცხრომლად ეწევიან მასებში პარტიის იდეების პროპაგანდას. პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფებში გაერთიანებული არიან ავტორიტეტიანი, მაღალი კვალიფიკაციის და თავიანთ საქმეში დაოსტატებული ადამიანები. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფში გაერთიანებულია 120-ზე მეტი კაცი. მათს უმრავლესობას შეადგენენ გამოჩენილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ისინი სათავეში უდგანან ლენინურ ლექტორიუმებს, კითხვა-პასუხის საღამოების, თეორიული კონფერენციების გამართვას, საერთაშორისო ცხოვრების კვირეულის, ლექტორთა დღეების, ლენინური კვირეულებისა და ბევრ სხვა საინტერესო ღონისძიებათა ჩატარებას დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში.

აუდიტორია მუდამ მოწონებით ხვდება მოწინავე ლექტორებს: მახარაძის რაიონში გ. ტაკაძეს, გორის რაიონში ა. იჩქოს, ზესტაფონის რაიონში გ. გაფრინდაშვილს, ქობულეთის რაიონში ე. უაჭეიშვილს. პარტიის ამ იდეურ ჯარისკაცებს აქვთ არა მარტო თეორიული მომზადება, არამედ იმის უნარიც, რომ ნათლად, გასაგები და დამაჯერებელი ფორმით გადასცენ მასალა აუდიტორიას. მათ კარგად იციან ელემენტარული ჭეშმარიტება: სხვას რომ ასწავლო, ჯერ თვითონ კარგად უნდა ისწავლო. ცხადია, ასეთი ლექტორები, ნამდვილი ოქროპირები, ჩვენს რესპუბლიკაში ერთეულები როდია.

პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს თავიანთ მუშაობაში ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, საპატიო და პასუხსაგები ეტაპი აქვთ. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადება სერიოზულ ამოცანებს აყენებს ლექციური პროპაგანდის წინაშე. ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების პასუხისმგებელი მდივნების ოთხდღიანი სემინარი. აქ განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება საიუბილეო თარიღებისათვის მზადებაში ლექტორთა ამოცანებზე.

ახლა, საიუბილეო მზადების ცხარე დღეებში, ყველაზე მთავარია ლექციური პროპაგანდის მაღალი დონე, მისი მჭიდრო კავშირი თანამედროვეობასთან. ლენინიზმის იდეების პროპაგანდა უნდა ვაწარმოოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეტევითი ბრძოლის ნიშნით. ლექტორის თვითეულმა გამოსვლამ გავლენა უნდა იქონიოს მსმენელებზე, დაეხმაროს მათ იდეური დონისა და პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებაში. ეს საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რადგან ჯერ კიდევ არის შემთხვევები, რომ დაბალ დონეზე იკითხება ცალკეული ლექციები. ზოგიერთი ლექტორი არ სცილდება ზოგად დებულებებს და ამის ნაცვლად, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ფაქტებით გაამდიდროს ლექცია, მონოტონურად იმეორებს ყველასთვის ცნობილ ჭეშმარიტებებს ან კიდევ იაფფასიანი ამბებით ჩრდილავს ძირითად შინაარსს.

ჩვენს დროში, მასობრივი ინფორმაციების ფართო გაქანების ვითარებაში ლექტორი წინასწარ გაზეპირებული ტექსტებით ან წინასწარ შედგენილი შპარგალკების თავაუდებლად წაკითხვით ვერ დაიმსახურებს აუდიტორიის მოწონებას. ლექტორმა კი არ უნდა მიაძინოს აუდიტორია, არამედ ცოცხალი, საინტერესო თხრობით გიტაცოს იგი თეორიის ღრმა საკითხის შესასწავლად. გარდა ამისა, მან პარტიული პოზიციებიდან უნდა უჩვენოს მსმენელებს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის გზები. ამიტომ ლექტორი, რომელიც მიდის კოლმეურნეობაში, ქარხანაში თუ დაწესებულებაში, მოვალეა არა უბრალო „გამოცოცხლებისათვის“ აიღოს მოცემული საწარმოდან ორი-სამი ფაქტი, არამედ ღრმად იცოდეს მთელი კოლექტივის მუშაობის როგორც დადებითი, ისე ჩრდილოვანი მხარეები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ესაუბრო აუდიტორიას „თავის ენაზე“.

თვითეულ ლექტორს მუდამ უნდა ახსოვდეს და პრაქტიკაში იყენებდეს დიდი ლენინის მითითებას: „ყოველი პროპაგანდისტისა და ყოველი აგიტატორის ოტატრგა ხდორედ იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახადოს რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, რაც შეიძლება ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ და უფრო მტაციად დასახსომებელი“.

საჭიროა მეტად გავამახვილოთ ყურადღება მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვა საკითხებთან ერთად ხალხთა შეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა დემოკრატიის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე, ლექციურ პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის მზაკვრულ ჩანაფიქრთა მკაცრ მხილებას.

პარტია იდეოლოგიური დარგის მუშაკებისაგან მოითხოვს იყონ არა მარტო კარგი პროპაგანდისტები და აგიტატორები, არამედ ასევე კარგი ორგანიზატორებიც. ჩვენი ლექტორების მოვალეობა ის არის, რომ მხარში ამოუდგნენ პარტიულ ორგანიზაციებს და იყონ ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვის ორგანიზატორებიც. ეს საპატიო მისია თავს იჩენს ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ლენინურ საიუბილეო ვახტზეა, როცა იგი ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავს. საწარმო-დაწესებულებაში ლექტორი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო თავისი ლექციის წაკითხვის ბედით. იგი უნდა დაინტერესდეს იუბილესთვის მზადების გეგმით, შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი შესრულების მიმდინარეობით, ადამიანების ცხოვრებით და სხვ. ცხადია, ლექტორის საქმიანი რჩევა, ცოცხალი წინადადებანი დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის კომუნისტებისა და უპარტიო მასების დარაზმვაში.

ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაშლა, ლექტორთა კადრების განმტკიცება და აღზრდა ბევრად არის დამოკიდებული პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე. საჭიროა სათანადოდ შეავფასოთ ლექტორის საპატიო შრომა და მორალურად წაახალისოთ ისინი, გულმოდგინედ ვზრდოთ ლექტორთა კადრები, მეტი დავეხმაროთ და განვაზოგადოთ მათი მუშაობა.

დიდი და საპატიოა ლექტორის მოვალეობა. ეს არის პარტიის იდეოლოგიური ჯარისკაცი, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი. მისი ცეცხლოვანი ტიტყვა აიარაღებს მასებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ლექტორი რაზმავს მათ, რომ ცხოვრება, შრომა მოაწყონ ლენინურად — იარონ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ახალგაზრდების წვლილი

ენთუზიაზმით ემზადება თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდობა ლენინური შაბათობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათ იკისრეს გაზრდილი ვალდებულება — შაბათს, 12 აპრილს დავალების გადამეტებით სამშობლოს დიდძალი როდენობით მისცენ ზეგეგმითი პროდუქცია

სურათზე: საწარმოს მოწინავე ახალგაზრდები (მარცხნიდან) — ც. ოხანაშვილი, ბ. ჩხეიძე, თ. კობიაშვილი, ო. თოთლაძე, ი. კოსარევა და ნ. ქიტესაშვილი, რომლებიც საწარმოს ასობით მუშასთან ერთად შაბათს —დასვენების დღეს თავიანთ სამუშაო ადგილებზე შრომაში გაატარებენ.

ფოტო ბ. ბოგოსიანი.

მზად ვართ!

გუშინ დილიდანვე, სანამ პირველი ცვლის მუშები თავიანთ სამუშაო ადგილებს დაიკავებდნენ, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის წარმოებებსა და საამქროებში გაიმართა თათბირები, რომლებიც ლენინური შაბათობების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებას მიეძღვნა. მრთველებმა და მეტრიკოტაჟეებმა საბოლოოდ დააზუსტეს თავიანთი გეგმები. შაბათობისათვის უკვე მზად არიან კომუნისტური შრომის საქსოვი, საგამომჭრელო, № 1 და № 2 სართავი და ელასტიკის საამქროები.

შაბათს 3.000 კაცი თავის სამუშაო ადგილზე აღნიშნავს ლენინური დამკვრელური შრომის 50 წლისთავს და თავის ნაშრომს მთლიანად ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს.

მეორე დღესაც, კვირას კომბინატის კოლექტივი მასობრივად გამოვა საწარმოს ტერიტორიის დასასუფთავებლად. შევაგროვებთ ტონობით ჯარსს, წესრიგში მოვიყვანთ ეზო-მიდამოს, დავასუფთავებთ ტრიკოტაჟის და ზესტაფონის ქუჩებს.

ლ. დეკანოსიძე,
სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

როგორც ოციან წლებში

თბილისის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი აქტიურად ემზადება ლენინურ შაბათობათა 50 წლისთავისათვის.

მანქანათმშენებლები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მდიდარი რევოლუციური ტრადიციებით. საწარმოს ვეტერანების გვერდით დღეს მრავალი ახალგაზრდა შრომობს. სწორედ ვეტერანებისა და ახალგაზრდების ერთობლივი შრომის შედეგია ის, რომ ქარხანამ წარმატებით გაანაღდა ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი კვარტალის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 782 ათასი მანეთისა მანქანათმშენებლებმა 799 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს კვების მრეწველობის საწარმოებს.

ამ დღეებში ქარხნის ვეტერანები და ახალგაზრდები აქტიურად ჩაებნენ პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ შეჯიბრებაში, შეიმუშავეს კონკრეტული გეგმა.

12 აპრილს, მასობრივი შაბათობის დღეს, ქარხნის მუშა-მოსამსახურეები დასუფთავებენ ქარხნის ტერიტორიას, შეაგროვებენ ჯარსს, შეამოწმებენ მანქანა-დანადგარების მუშაობას, შეაკეთებენ მწყობრიდან გამოსულ მანქანებს, გაასუფთავებენ მზა ნაწარმის საწყობის ირგვლივ მისასვლელ ტერიტორიას. წესრიგში მოიყვანენ საამწყობო საამქროს, გაასუფთავებენ ქარხნის ცენტრალურ შესასვლელს, საწარმოს ტერიტორიაზე დარგავენ მცენარეებს.

შაბათობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქარხნის ვეტერანები ს. პროკოფიევი, ლ. ბერეზოვსკი, ა. ლვინიანიძე, კ. ცოფურაშვილი, ა. უსტენკო.

საწარმოს ერთ-ერთმა ვეტერანმა ს. პროკოფიევმა, რომელიც 1919 წლიდან მუშაობს ქარხანაში, გაიხსენა თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი პირველ კომუნისტურ შაბათობას საქართველოში

— 12 აპრილს ქარხნის ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებმა გვერდით ქარხნის ვეტერანებიც ჩვენს წვლილს შევიტანთ, საიუბილეო შაბათობაში და ხალისით ვიშრომებთ ისე, როგორც 20-იან წლებში ზაკავკასეთ სარკინიგზო ელექტროსადგურის მშენებლობის პერიოდში მოწყობილი პირველ კომუნისტური შაბათობის დროს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ვეტერანმა მუშამ. („კომუნისტის“ კორ.).

ტრადიციული, ნაცადი გზით

12 აპრილს დიადი თაოსნობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეა. პირველი შაბათობა კომუნიზმის ფაქტიური დასაწყისი, მუშათა ნამდვილი გმირობა იყო.

ჭიათურელი მაღაროელები ერთსულოვნად ეუბნერთ მხარს მოსკოველთა კეთილშობილურ წამოწყებას და ვეცდებით ამ შაბათობაზე ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ დიადი თაოსნობის 50 წლისთავი. ჩვენს მაღაროს ამის გამოცდილება აქვს. შარშან თასზე მეტმა კაცმა ვიმუშავეთ წყალსადენის მშენებლობაზე. ჭიათურელი მაღაროელები ორგანიზებულად გამოვალთ შაბათობაზე, თავდადებით ვიმუშავებთ და ხუთწლედის ფონდში შევიტანთ ათეულ ათასობით მანეთს. ამ დღეს პირადად მე 60 ტონის ნაცვლად სამშობლოს მივცემ ას ტონაზე მეტ მარგანეცს, ოთხიც ხელს შევუწყობ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ჯ. გოგაბიშვილი,
ჭიათურის მარგანეტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მუშა, სოციალისტური შრომის გმირი.

თაოსნობა გრძელდება

სოფელ უდის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ტრადიციად იქცა ლენინური შაბათობების მოწყობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეებმა მოაწყეს 22 მასობრივი შაბათობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 5.500 მშრომელმა. მათ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს. შეაკეთეს სოფლის გზები, ათობით ჰექტარზე გაშენეს ბაღი. შაბათობის მონაწილეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ადიგენის რაიონული ცენტრის — დაბა ადიგენის კეთილმოწყობის საქმეში.

ლენინური შაბათობის 50 წლისთავის აღსანიშნავად 12 აპრილს სამუშაოზე გამოვა 500 კოლმეურნე. ამ დღეს ათობით ჰექტარზე დითესება საგაზაფხულო კულტურები, გაისხვლება ხეხილი.

ჯ. პეტაშვილი,
ადიგენის რაიონის სოფელ უდის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საქართველოს კომკარტიის თბილისის კომიტეტში

12 აპრილს — ყველანი კომუნისტური საიუბილეო შაბათობაზე

ბულის მოწოდებით, მოვალეობის კარნახით მიიღებენ მონაწილეობას თბილისელები საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღის — პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავის დღესასწაულში.

თავისუფალი, სასიხარულო და შეგნებული შრომის ამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის მზადებას მიეძღვნა თათბირი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში.

თათბირი გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა.

მასობრივი საიუბილეო შაბათობისათვის მზადებამ დიდი ამოძანები დაუსახა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ლენინის იდეების, მისი სახელოვანი ტრადიციებისა და ახლანდელ ეტაპზე კონკრეტული მიზნების პროპაგანდა.

შაბათობაში, ისევე როგორც ყველა საქმეში, ტონს მისცემენ კომუნისტები და კომკავშირელები, წარმოების მოწინავეები, შრომის ვეტერანები. თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, დიმიტროვის სახელობის საკვიაციო ქარხნის, მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნისა“ და მრავალი სხვა სამრეწველო საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ახსნა-განმარტებითი და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს. მათ ახალგაზრდობას მოუთხრეს პირველ კომუნისტურ შაბათობებზე, რომლებშიც მკაფიოდ გამოვლინდა ახალი საზოგადოების მშენებელთა მაღალი იდეურობა, კოლექტივიზმი და პატრიოტიზმი.

საქალაქო შტაბმა და ყველა რაიონში, ყველა საწარმოსა და მშენებლობაზე, სკოლებსა და ინსტიტუტებში მოწყობილმა შაბათობიანმა ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბებმა და ჯგუფებმა შექმნეს და მომზადეს ყველა პირობა დიდად ნაყოფიერი შრომისათვის. დაზუსტდა და დამტკიცდა სამუშაოთა კონკრეტული პროგრამა 12 აპრილისათვის. ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთვება ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, პლაკატებით. შაბათობის წინ სუფთეს უმაგალითო შემოქმედებითი აღმავლობის ატმოსფერო, ბევრი საწარმოდან და მშენებლობიდან მოდის ცნობები საწარმოო კოლექტივების ახალი შრომითი გამარჯვებების შესახებ.

50 წლის წინათ დიადი თაოსნობის ინიციატორები მუშაობდნენ ნახევრად კუსტარულ სახელოსნოებში, ორთქლმავლებს არემონტებდნენ ხელით, პრიმიტიული მოწყობილობის საშუალებით. მაგრამ მათმა საბრძოლო რევოლუციურმა სულისკვეთებამ, მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებამ და ამხანაგურმა ურთიერთდახმარებამ საშუალება მისცეს მიეღწიათ შესანიშნავი შედეგებისათვის.

დღეს საბჭოთა ადამიანების პატრიოტული ნისწრაფება, იმუშაონ კომუნისტურად, ეყრდნობა მოწინავე სოციალისტურ ინდუსტრიას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე თანამედროვე მიღწევებს, მეურნეობრიობის ახალ ფორმებს, რომლებიც ეკონომიური რეფორმის შედეგად დამკვიდრდა.

თბილისელთა წვლილი პატრიოტულ მოძრაობაში დიდი იქნება. წინასწარი გამოანგარიშებით, ისინი საერთო შრომითს ყულაბაში შეიტანენ 3 მილიონ მანეთზე მეტს.

„ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!“ — ასეთია დიდი ილიჩის ანდერძი. საიუბილეო შაბათობა გახდება დიდმნიშვნელოვანი ნიმანსვეტი მისი შესრულების გზაზე.

თათბირზე გამოვიდნენ პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი ს. თოხაძე, პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივანი ბ. ენუქიძე, პარტიის კიროვის რაიკომის მეორე მდივანი ბ. მჭედლიშვილი, პარტიის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი ბ. ჩოდრიშვილი, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მრეწველობის განყოფილების გამგე ჯ. ტბილდიანი, პარტიის 26 კომისრის რაიკომის მეორე მდივანი ვ. შუხდინარეი, პარტიის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი დ. იაკობაშვილი. (საქდესი).

დარგაზოგა ლ. ი. ბრეჟნევთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 9 აპრილს მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. მენესკი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს, რომელმაც ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების საკითხები. გაიმართა აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება ახლანდელი საერთაშორისო ვითარების ზოგიერთ პრობლემაზე, მათ შორის ვიეტნამის უშიშროების პრობლემებზე.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტ. მარინესკუ.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

9 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კორნილიუ მენესკუ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში. მინისტრს ახლდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ტიოდორ მარინესკუ.

მეგობრული საუბრის დროს ა. ნ. კოსიგინმა და კ. მენესკუმ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის განმტკიცების საკითხებზე. დიდი ყურადღება დაეთმო მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების ამოცანას.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

ამხ. ფ. პენცი მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 8 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფრანტიშეკ პენცი, რათა გაეცნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. (საკდესი).

დიადი თაოსნობის 50 წლისთავი

მოსკოვი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ქალაქ მოსკოვის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა კრება, რომელიც პირველი კომუნისტური შაბათობების 50 წლისთავს მიეძღვნა.

დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, კომუნისტური შრომის დამკვრელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ კრების პრეზიდიუმში შემოსულ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

კრება გახსნა მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ვ. პეტროვმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

შაგათოგა დაიწყო ოთხშაგათს

ნორილსკი. (საკდესის კორ.). ნორილსკის სამთო-მეტალურგიულ კომბინატში დაიწყო საიუბილეო კომუნისტური შაბათობა. რამდენადაც მუშაობა საწარმოში არასოდეს არ წყდება, მაღაროელთა, მეტალურგთა, ენერგეტიკოსთა, კავშირგაბმულობის მუშაკთა, ტრანსპორტელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 12 აპრილს დასაქმებული იქნება, როგორც ჩვეულებრივ, მორიგე ცვლაში.

საიუბილეო კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობა კი სურს ყველას. სწორედ ამიტომ გუშინ ბევრმა იმუშავა გაუთვალისწინებელ დროს ნორილსკის ნიკელისა და სპილენძის ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში. მაგალითად, ელმავალთა მემანქანეები და მათი თანაშემწენი ბ. ვ. სპიროვის ცვლიდან ექვსი საათით გახდნენ ლიანდაგის მუშები და მოახდინეს რკინიგზის ასაღები უბნის დემონტაჟი ბაიდარსკის სადგურთან.

თბილისში ჩამოვიდა კორეის პროფკავშირული დელეგაცია

9 აპრილს კორეის დელეგაციამ თბილისში ჩამოვიდა კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისა კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ტენ ჩან ჩერის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ს. ა. შალაევი, რომელიც ასევე ამ საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას.

ეროდერომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბ. კიკნაძე, პროფსაბჭოს მდივანი ვ. დ. ღოღობერიძე, ო. ს. ცანავა, პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. მაცაბერიძე და სხვები. (საქდესი).

შეხვედრა კორეელ მეგობრებთან

9 აპრილს კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ტენ ჩან ჩერის მეთაურობით მიიღეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბ. კიკნაძე, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ბ. ბ. კიკნაძემ კორეელ ამხანაგებს გააცნო საქართველოს პროფესიული კავშირების საქმიანობა, რომლებიც თავიანთ რიგებში ერთიანებენ ქალაქისა და სოფლის მოლაზნაზვრამდე მშრომელს, გააცნო მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

კორეის გაერთიანებულ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ტენ ჩან ჩერმა მადლობა გადაუხადა გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც დელეგაციას გაუწიეს საქართველოში. ჩვენ ჩამოვედით აქ, თქვა მან, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება, კიდევ უფრო განვაღრმავოთ კორეისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მეგობრული თანამშრომლობა.

ტენ ჩან ჩერმა დამსწრეთ გააცნო კორეელი ხალხის წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, რომლებიც კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ს. ა. შალაევმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნებმა ვ. დ. ღოღობერიძემ, ო. ს. ცანავამ. საუბარს დაესწრნენ პროფსაბჭოს განყოფილებათა გამგეები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები. (საქდესი).

თეორიის საკითხები

ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული რევოლუციის უდიდესი გელადი, როგორც შემოქმედი და ხელმძღვანელი ბოლშევიკური პარტიისა — მუშათა კლასის ავანგარდისა, ახალი ტიპის პარტიისა, სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიისა, სოციალიზმისა და კომუნიზმის, უმაღლესი ფორმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მშენებლობის პარტიისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალებიდან „ფლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის პარტიაზე

1.

ბანუხრელად იცოდა რა მარქსისა და ენგელსის იდეას იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნისათვის პროლეტარიატს ესაჭიროება დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, ლენინმა დაასაბუთა ღირსშესანიშნავი თეორიული დებულება: იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა პროლეტარული რევოლუცია დღის წესრიგშია დაყენებული, როცა იგი უშუალო რევოლუციური პრაქტიკის ამოცანა გახდა, მუშათა კლასს სჭირდება ახალი ტიპის პარტია, რომელიც ძირფესვიანად უნდა განსხვავდებოდეს II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან.

მარქსიზმის სრული შესაბამისობით ვ. ი. ლენინმა დაგვანახვა, რომ ახალი ტიპის პარტია ხასიათდება მარქსისტული მოძღვრებისადმი ერთგულებით, განირჩევა თანმიმდევრულად რევოლუციური პროგრამით, სტრატეგიითა და ტაქტიკით, ორგანიზაციული შეხედულებებით. მისი უმნიშვნელოვანესი თვისებები თავიდანვე გახდა: შეურიგებლობა კაპიტალისტური წყობილებისადმი და ჩაგვრის ყველა ფორმისადმი; თავდადებული სამსახური მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ინტერესებისადმი; განუხრელად სვლა სოციალისტური რევოლუციის გზით; შემოქმედებითი დამოკიდებულება რევოლუციური თეორიისადმი, რომელიც სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის; შალალი ორგანიზებულობა, რასაც უზრუნველყოფს პარტიული ცხოვრების მკაცრი დემოკრატიული პრინციპები და ნორმები.

ლენინური პარტიის დამახასიათებელი თვისებაა მისი შეუერიგებლობა ოპორტუნიზმისადმი, რომელსაც ახასიათებს კაპიტულანტობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე და ხელის აღება ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე, საზოგადოების ძირეულ გარდაქმნებზე. ოპორტუნიზმი, აღნიშნავდა ლენინი, არის გადახვევა პროლეტარული კლასობრივი თვალსაზრისისაგან, იმის დავიწყება, რომ კლასთა ყველაზე არსებითი, გადამწყვეტი ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ ძირეული პოლიტიკური გარდაქმნებით საერთოდ; კერძოდ პროლეტარიატის ძირითადი ეკონომიური ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციის საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურას ცვლის პროლეტარიატის დიქტატურით.

ბოლშევიკური პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი თვისებები ძირეულად განასხვავებენ მას რეფორმისტული პარტიებისაგან, აგრეთვე სექტანტური ორგანიზაციებისაგან. ისინი სავსებით შეეხამებიან კაპიტალიზმის ახალი, იმპერიალისტური ტალღის მოთხოვნილებებს, მსოფლიო მუშათა მოძრაობს იმ კანონზომიერებებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ ეპოქისთვის.

პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების, ლენინური ორგანიზაციული პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების დიადმა სასიცოცხლო ძალამ შემოწმება გაიარა უწინარეს ყოვლისა ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის საქმიანობაში. პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით მოახდინა ოქტომბრის რევოლუცია, შექმნა მძლავრი ინდუსტრია, სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნა სოფლის მეურნეობა, მოახდინა კულტურული რევოლუცია, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება.

შეესაბამება რა ისტორიული განვითარების ძირითად მოთხოვნილებებს, ლენინურმა მოძღვრებამ პარტიაზე, მის ორგანიზაციულ პრინციპებზე დროის გამოცდას გაუძლო. ყველა ისტორიულ ეტაპზე იგი გვეხმარება სწორად მოვძებნოთ საქმიანობის აუცილებელი კონკრეტული ფორმები და მეთოდები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპს. პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ იმის აუცილებელ პირობას, რომ პარტიამ წარმატებით განახორციელოს თავისი ხელმძღვანელი როლი — სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება.

პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების დიადი სასიცოცხლო ძალა დადასტურებულია იმ ფაქტით, რომ მის იდეურ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე აგებულია კომუნისტური და მუშათა პარტიები რომლებიც საზღვარგარეთ წარმოიშვნენ ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. ბოლშევიზმი მსოფლიო მოვლენა გახდა. მან საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას მისცა „იდეა, თეორია, პროგრამა, ტაქტიკა, რომელიც კონკრეტულად, პრაქტიკულად განსხვავდება სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პაციფიზმისაგან“ (თხზ. სრ. კრებ., ტ. 37, გვ. 304).

მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიების მიერ მუშათა კლასის ლენინური ტიპის პარტიის აღქმა არ ყოფილა ცალკეულ მოღვაწეთა ენინის ან ერთი ქვეყნის გამოცდილების მეორე ქვეყნის ნიადაგზე მექანიკურად გადატანის შედეგი ანდა, როგორც ზოგიერთი ბურჟუაზიული ფალსიფიკატორი ამტკიცებს, იმის შედეგი, რომ კომპარტიები სხვა ქვეყნებში თითქოს წარმოშობილია „რუსული ძალით“. კომუნისტური პარტიები კანონზომიერად წარმოიშვნენ და წარმატებით ხელმძღვანელობენ რევოლუციურ ბრძოლას თავიანთი ქვეყნების სოციალური განვითარების შედეგად.

რაც შეეხება პარტიის მშენებლობის ლენინურ საფუძვლებს, კომპარტიები აღიჭურვნენ ლენინური იდეური, ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპებით მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნაკარნახევი იყო ისტორიული აუცილებლობით, რომელიც გამომდინარეობდა საზოგადოებრივი განვითარების ზოგადისტორიულ კანონზომიერებათა მოქმედებიდან. ლენინის მოძღვრება პარტიაზე, მისი შინაგანი ცხოვრების პრინციპებსა და ნორმებზე გამოხატავს ინტერნაციონალურ კანონზომიერებებს, ცხადია, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ლენინური პარტიის პარტიებმა, ხელმძღვანელობდნენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით, უზრუნველყვეს ევროპის, აზიის, ხოლო შემდეგ აგრეთვე ამერიკის (კუბა) მთელი რიგი ქვეყნების გადასვლა სოციალიზმის „გზაზე.

ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის პარტიაზე

პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელობა თავის ხორცშესხმას პოულობს სოციალიზმის მსოფლიოს სისტემაში, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზრდაში.

2.

ლენინური მოძღვრება პარტიაზე, აღმშენებლობის მის პრინციპებზე ცხოვრებაში მკვიდრდებოდა მუშათა კლასის როგორც აზკარა მტრებთან, ისე მუშათა მოძრაობის შიგნით დამალულ მტრებთან ბრძოლის გზით. ვ. ი. ლენინი, მარქსისტ-ენენელები პარტიისათვის შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკებთან, II ინტერნაციონალის ლიდერებთან, ყველა ოპორტუნისტთან, მარჯვნიდან და „მარცხნიდან“. ოპორტუნისტები მარჯვნიდან, ლენინის სიტყვებით, ისტორიის მატერიალისტურ გაგებას აკნინებენ იმით, რომ უგულებელყოფენ ქმედითს, ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს, რასაც შეიძენდა ასრულებდნენ და კიდევაც უნდა ასრულებდნენ ისტორიაში პარტიები, რომლებმაც შეიცნეს გადატრიალების მატერიალური პირობები და სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე კლასებს. რევოლუციური ფრაზის მომხრეებს, „მემარცხენენ“ ოპორტუნისტებს აბსოლუტად აჰყავთ სუბიექტური ფაქტორი და პარტიას აქცევენ შეთქმულთა სექტანტურ ორგანიზაციად.

თანამედროვე რევიზიონისტები, განაგრძობენ რა იმ სამარცხვინო ხაზს, რომელსაც დაადგნენ ოპორტუნისტები ახალი ტიპის პარტიის მიმართ, ცდილობენ სახელი გაუტეხონ პარტიას, როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების პირობებში ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ხელიდან გამოაცალონ მუშათა კლასს მისი ძირითადი იარაღი — პოლიტიკური ორგანიზაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების სახით. ლენინური პარტიის მიმართ ცილისწამებაში მათ ბანს აძლევენ მემარჯვენე სოციალისტი ლიდერები და თანამედროვე რევიზიონისტები. რას არ იგონებენ და რა ხრიკებს არ მიმართავენ ბურჟუაზიული და რევიზიონისტი ცილისმწამებლები, ცდილობენ რა დაასუსტონ მუშათა კლასის პარტია, სახელი გაუტეხონ მას მშრომელთა თვალში, ამით ზიანი მიაყენონ მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას.

ცილისმწამებელთაგან ზოგნი ცდილობენ მასებს დაუპირისპირონ პარტია, ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ პარტიას სოციალისტური შეგნება შეაქვს მუშათა მოძრაობაში, განმარტავენ თავისებურად, როგორც პროლეტარიატის გადაქცევას ისტორიის ობიექტად. ამავე დროს კი ცნობილი ლენინური დებულება მუშათა მოძრაობაში შეგნების შეტანის შესახებ გულისხმობდა სწორედ საწინააღმდეგოს — მის გადაქცევას ისტორიის სუბიექტად, ვინაიდან ეხამრებოდა პროლეტარიატს გაეღვიძა შეგნებული ცხოვრებისა და შეგნებული ბრძოლისათვის. სხვები ბოლშევიზმს ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი თითქოს ამკვიდრებს ორგანიზაციის შეთქმულებითს პრინციპებს, რისთვისაც იფიშებენ ამ, რომ ბოლშევიკებს მოუხდათ პოლიციური თვითნებობის პირობებში კონსპირაციის მეთოდები გამოქვეყნებინათ.

მუშათა კლასის ლენინური ტიპის პარტიაზე ფალსიფიკაციებისა და ცილისწამების მთავარი მიმართულებაა მისი ხელმძღვანელი როლის უარყოფა, მისი შეცვლა ბუნდოვანი, ამორფული პარტიით. დ. გეიტსის („შუ), ა. ჯოლიტის (იტალია) ტიპის რევიზიონისტი რენეგატები და სხვები, რომლებიც აღიჭურვნენ „დემოკრატიული სოციალიზმის“ უბადრუკი იდეებით, იღვწიან „ახალი მოდელის“ პარტიის შექმნისათვის, რომელიც სინამდვილეში ყველაფრით ჰგავს II ინტერნაციონალის ძველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, დიდიხანია რომ მოჭამეს თავიანთი დრო.

მსგავსი შეხედულებანი აღწევენ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტურ პარტიებშიც. აქ, წინააღმდეგ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა, რევიზიონისტები უარყოფენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში და სოციალიზმის დროს მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელ როლს.

ასეთმა მიდგომამ კომუნისტური პარტიისადმი თავი იჩინა, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიაში. რევიზიონისტული ელემენტები წინადადებას იძლეოდნენ შეიცვალოს „პარტიის ტრადიციული სახე“, „გადაისინჯოს მუშათა კლასის პარტიის მშენებლობის ორგანიზაციული პრინციპები და მუშაობის მეთოდები“, რათა ჩეხოსლოვაკია გახდეს ახალი მოდელის „ლიბერალიზებული“ სოციალიზმის შექმნის ინიციატორი. ანტისოციალისტური ძალების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობაში იღვწოდა, ამჟამად კი კარს უტალახებს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულ ორგანიზაციებს,— ი. სვიტაკი 1968 წლის აგვისტომი წერდა, რომ კომუნისტური პარტიის მოწინავე როლი „პოლიტიკური ცხოვრების სრულიად შეუფერებელი წესია“ და რომ საერთოდ „კომუნისტური პარტიის ლენინური მოდელი ამჟამად განვითარებული ქვეყნების პირობებში მიუღებელია“.

ჩეხოსლოვაკიელ რევიზიონისტთა ამ და მისმა მსგავსმა „თეორიულმა“ ვარჯიშმა აღტაცება გამოიწვია ბურჟუაზიისა და ანტისოციალისტური ძალების ბანაკში. კომუნისტურმა პარტიებმა კი დაგმეს ასეთი შეხედულებანი, რომლებიც უხეშად ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პარტიისა და მისი ორგანიზაციული საფუძვლების შესახებ.

3.

ენინმა, რომელიც ყოველმხრივ ცხადყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაზღვრა პარტიის დიადი მიზნები და ისტორიული მოწოდება. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლებას, პარტიის შეხედულებებისა და მოქმედების ერთიანობას, შეგნებულ პარტიულ დისციპლინას, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებას და პარტიის წევრთა შემოქმედებითი აქტივობის. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ასრულებს ლენინის ამ მითითებებს.

რევიზიონისტებმა „მარცხნიდან“ მაო ძე-დუნის ანტიპარტიულისტული ჯგუფის სახით სკკპ პროგრამის დებულება მუშათა კლასის პარტიის მთელი ხალხის ავანგარდად გადაქცევის შესახებ დასახეს როგორც „პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციებიდან ჩამოშორება“, „პარტიის როგორც პროლეტარიატის პარტიის ხასიათის უარყოფა“. ეს უსაფუძვლო, დოგმატური განცხადებანი ნაკარნახევია, რა თქმა უნდა, არა ზრუნვით მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვის შესახებ, არამედ იმის სურვილით, რომ ჩრდილი მიაყენონ ჩვენს პარტიას.

ვინ არ იცის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ აზრს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში რომელიღაც „ზეკლასობრივი“ და „კლასგარეშე“ პარტიების შექმნის შესაძლებლობის შესახებ. კაპიტალიზმის პირობებში ისინი არ არიან და არც შეიძლება იყონ. ასეთები არ შეიძლება იყონ პროლეტარული პარტიებიც, თუმცა ისინი თავიანთ გარშემო რაზმავენ მშრომელთა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან მასებს, ის პოლიტიკური იდეები კი, რომლებსაც ისინი აყენებენ, „ატარებენ საყოველთაო-სახალხო ხასიათს, ე. ი. ეხებიან მთელი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად, ყველაზე ღრმა პირობებს“ (ტ. 21, გვ. 319).

კომუნისტური პარტია მკვეთრად აკრიტიკებდა იმათ, ვინც ჩქარობდა უკვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის პირობებში გამოეცხადებინა სკკპ მშრომელთა პარტიად. მაგალითად, პარტიის XV ყრილობის წინ მ. ი. კალინინმა მიიღო წერილი, რომელშიც გატარებული იყო აზრი, რომ იმ დროიდან, რაც ლენინმა წამოაყენა და დაასაბუთა თეორია ორი კლასის თანამშრომლობისა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, აგრეთვე დაასაბუთა გზა გლეხობის არაკაპიტალისტური განვითარების, ე. ი. მისი კოოპერირებისა, „ჩვენი პარტია ალარ იყო მუშათა პარტია, არამედ ორი კლასის პარტია გახდა“. გააცნო რა ამ წერილის შინაარსი ყრილობის დელეგატებს და შეაფასა რა მისი ავტორის ეს დებულება როგორც აშკარად უსაფუძვლო, მ. ი. კალინინმა თქვა, რომ ამ სტრიქონების დამწერი, „სამწუხაროდ, მოექცა ჭვრილბურუჟუაზიული, ნაროდნიკული იდეოლოგიის გავლენაში და უარყოფს პარტიის კლასობრივ ბუნებას“.

რამდენადმე უფრო გვიან, ერთ-ერთ დისკუსიაში, რომელიც 20-იანი წლების დამლევს მიმდინარეობდა, გამოთქმულ იქნა თვალსაზრისი, რომ „ჩვენი პარტია უკვე უნდა იყოს მშრომელთა ერთიანი მასობრივი პარტია“ და რომ ამიტომ საჭიროა შესუსტდეს პარტიაში არაპროლეტარული კატეგორიების მიღების პირობები, XVI პარტიული ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ მოხსენებაში ეს აზრი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული და დაგმობილი, რამდენადაც იგი უგულებელყოფდა იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობდნენ ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, მშრომელები კი კვლავინდებურად შედგებოდნენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და იდეური მხრივ სხვადასხვა ჯგუფებისაგან.

საქმე ძირეულად შეიცვალა, როცა ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა და მიღწეულ იქნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საფუძური. ასეთი საზოგადოების მიმართ არ შეიძლება იხელმძღვანელო ძველი ენებებით, რომლებითაც უკვე ვერ ახსნი ახალ მოვლენებს, ცხოვრებაში სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვების შედეგად რომ წარმოიქმნა. დასკვნა მუშათა კლასის პარტიის მთელი ხალხის პარტიად გადაქცევის შესახებ გამოგონილი კი არ იყო, არამედ სრულად ასახავდა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ობიექტურ პროცესებს.

ძირეული სოციალ-კლასობრივი ცვლილებების და საბჭოთა ხალხის ყველა ფენის ინტერესთა ერთობის წარმოქმნის პირობებში უალრესად შაბლონური იქნებოდა შეხედულება პარტიაზე, როგორც რაღაც გაყინულსა და უძრავზე, წარმოდგენა მასზე როგორც მხოლოდ მუშათა კლასის პოლიტიკურ ორგანიზაციაზე იმის გაუთვალისწინებლად, რომ კლასობრივი ანტაგონიზმებისაგან თავისუფალ საზოგადოებაში „ინტერესთა ერთობა“, როგორც წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გარდუვალად იქცევა „ძირითად პრინციპად“. თუ სოციალისტური მშენებლობის პირველ ეტაპებზე პარტიის იმ პოლიტიკას, რომელიც ობიექტურად ასახავდა საზოგადოების მთელი მშრომელი ფენების ძირეულ ინტერესებს, და გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე მშრომელთა სხვა არაპროლეტარული ფენების პოლიტიკურ შეგნებას შორის არსებობდა გარკვეული შეუსაბამობა, ახლა ამ შეუსაბამობამ ძალა დაკარგა. მოხდა უდიდესი სოციალური ძვრები საბჭოთა საზოგადოების სულ უფრო მეტი ერთგვაროვნების შექმნის მიმართულებით, მათ შორის მასების პოლიტიკური შეგნების სფეროშიც.

ამასთან ერთად სწორი არ არის არ ვხედავდეთ იმასაც, რომ პარტიის კლასობრივი პროლეტარული ბუნება რჩება; პარტიას სულაც არ დაუკარგავს პროლეტარული არსი მისი პრინციპების, ამოცანებისა და მიზნების თვალსაზრისით, ვინაიდან საზოგადოების მშრომელი ფენები სოციალისტურ გარდაქმნათა გავლენით გადავიდნენ მუშათა კლასის პოზიციებზე და არა ეს უკანასკნელი გადავიდა მათს თვალსაზრისზე. პარტია კომუნიზმის მშენებლობის პერიოდშიც იბრძვის არა რომელიღაც „საშუალო“, „კლასთშორისი“ იდეალებისათვის, არამედ მუშათა კლასის იდეალებისათვის.

ამრიგად, პროგრამული დასკვნა მუშათა კლასის პარტიის გადაქცევის შესახებ მთელი საბჭოთა ხალხის პარტიად არ შეიძლება ცალმხრივად იქნას განმარტებული. ამდენადვე არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ ცნებები „მუშათა კლასის პარტია“ და „მთელი ხალხის პარტია“.

ავითარებდა რა ლენინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ, სკკპ პროგრამის დებულებებს, პარტიის XXIII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ახალ შეშნენელოვანესი მოთხოვნები პარტიის ხელმძღვანელი როლის, მისი რიგების შეკავშირების შემდგომი განმტკიცების შესახებ, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ასრულებდნენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს თავიანთი საქმიანობის მნიშვნელოვან გამოცოცლებას, პარტიული რიგების შეკავშირების განმტკიცებას, კომუნისტთა აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას.

პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობას. საბჭოთა ხალხს და მის ავანგარდს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამით მთავარი წვლილი შეაქვთ მსოფლიო რევოლუციური პროცესში, ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. საბჭოთა ხალხის, მისი ლენინური პარტიის დიადი საგმირო საქმე შთამაგონებელი მაგალითია ყველასათვის, ვინც აირჩია პროგრესის გზა, სოციალიზმისა და კომუნიზმის გზა.

ლ. სლეპოვი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ბორჯომი — მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი

მაღლიანი მხარე

დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი 1887 წელს წერდა:

„ეი უკვე ორი კვირაა ბორჯომში ვარ. ჩემი აზრით, მსოფლიოში არ არსებობს ამაზე უფრო ლვთიური და მადლიანი მხარე“.

ამ დღეებში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა საბჭოთა კურორტების შექმნისა და საკურორტო მშენებლობის ლენინური დეკრეტის 50 წლისთავი. ამიტომ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ რევოლუციამდე „ამ ლვთიური და მადლიანი მხარის“ სიკეთე მხოლოდ პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთა განკარგულებაში იყო და მშრომელ ადამიანს ბორჯომში დასვენებასა და მკურნალობაზე ოცნებაც არ შეეძლო.

დღეს ბორჯომი ხარაჩოებშია ჩასმული, ერთდროულად კურორტზე მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობა, როგორიც აქაურობას არ ახსოვს. ამ სიახლეთა შემხედვარე ბორჯომის ძველ მკვიდრთ უყვართ წარსულის გახსენება, მისი შედარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხელაღება დაბადებული, ფრთებგაშლილი კურორტის დღევანდელობასთან.

ბორჯომში ბალნეოლოგიის, სასტუმროების აგების უფლება მხოლოდ რომანოვებთან დაახლოებულ წარჩინებულ პირებსა და მეფის დიდ მოხელეებს ეძლეოდათ. რაც შეეხება მშრომელებს, ისინი მოკლებული იყვნენ იმის შესაძლებლობას, რომ ეცარცვნათ ბორჯომის სამკურნალო სიკეთით. ამიტომ იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ბორჯომის ხეობაში არც ერთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე კერძო მცირეკამარიანან პანსიონებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში გაშლილმა საკურორტო მშენებლობამ სახე უკვალა ბორჯომის ხეობას. 1921 წლიდანვე რომანოვთა სასახლე-რეზიდენციები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელი სახლებად, პირველსავე საკურორტო სეზონში ბორჯომმა ფართოდ გაუღო კარი მშრომელ ადამიანს. მარტო 1923-დან 1941 წლამდე რაიონში მწყობრში ჩადგა 8 ახლადაგებული სანანატორიუმი, 2 დასასვენებელი სახლი, სასტუმრო „ბორჯომი“. ამჟამად კურორტზე მოქმედებს პროფკავშირებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 25 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და სხვა პროფილაქტიკური საკურორტო დაწესებულება, რომლებშიც 5 ათასამდე საწოლია. ყოველწლიურად კურორტზე 140 ათასამდე ავადმყოფ-დამსვენებელი და ტურისტი ჩამოდის, ხაფხულის თვეებში პიონერულ ბანაკებსა და ბავშვთა სხვა დაწესებულებებში ათეული ათასობით ბავშვი იკმაყოფილებს ჯანმრთელობას.

ბორჯომის ხეობამ სამართლიანად გაითქვა სახელი თავისი საუკეთო ლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით. კურორტის ყველაზე დიდი სიმდიდრეა მინერალური წყალი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში, მას კარგად იცნობენ ანა ანარტა ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წლითიწლობით იზრდება სამკურნალო წყლის ჩამოსხმა, რის შედეგადაც უამრავ მშრომელს საშუალება ეძლევა კურორტზე ჩამოუსვლელად იმკურნალოს. თუ 1918-1920 წლებში პრაქტიკულად აღჭურვილ ჩამოსხმელ ქარხანაში 350-400 ათასი ლიტრი „ბორჯომი“ ჩამოისხა, ბასეულ წლის მინერალური წყლის ჩამოსხმელმა ქარხანამ 120 მილიონი „ბორჯომი“ მისცა საშობოლოს. მაგრამ სამკურნალო წყლის ეს რაოდენობაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა ბორჯომელ ძიების შედეგად გამოვლინდა სამკურნალო წყლის დიდი მარაგი, რამაც შესაძლებელი გახადა კიდევ უფრო გაზრდილიყო მისი ჩამოსხმა. უკვე მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგება № 2 ჩამოსხმელი ქარხანა, რომლის წარმადობა 240 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“ იქნება. ხუთწლეულის ბოლოს სამკურნალო წყლის საერთო პროდუქცია 360 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს.

ბორჯომის ხეობამ უნეგრძივი სიმდიდრე, ახალდაბიდან დაწყებული სპორტულ ქალაქ ბაკურიანამდე თავისი საკურორტო კერძით ჩაყენებულია საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში. აქ მათთვის შექმნილია მკურნალობისა და დასვენების საუკეთესო პირობები. სამკურნალოსაკურორტო დაწესებულებები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და დანადგარებით. მარტო სანატორიუმებში გასწორებულია 160-ზე მეტი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტ-ლაბორატორია. თუ 1921 წელს რაიონში მხოლოდ 4 ექიმი და 9 ფერშალი მუშაობდა, დღეისათვის მარტო კურორტს ემსახურება 120 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 300 მუშაკი. კურორტზე მკურნალობის მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენებაში ბორჯომელ ექიმებს დიდ დახმარებას უწევენ ცნობილი სპეციალისტები, პროფესორები ა. ბაკურაძე, ა. გზირიშვილი, შ. გუგუშვილი, შ. ფარჯანაძე და სხვ.

კურორტის ზრდისა და შემდგომი განვითარების ტემპს ერთგვარად ხელი შეუშალა და დასაბუთი გვიჩვენებს სხვა მიმართულებით წარმართა ბასეული წლის აპრილში მტკვრის ადიდებამ. წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ბორჯომს — წყაღი ხიდები, მოშალა კომუნიკაციები, დიდ მონაკვეთებზე გადარეცხა სანაპიროები ხაშურ-ახალციხის სარკინიგზო ხაზსა და ავტომაგისტრალზე.

ბორჯომელმა მშრომელებმა სტიქიასთან ბრძოლაში ნამდვილი ვეტერანური შემართება გამოიჩინეს და საკურორტოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დახმარებით და მზრუნველობით, რაიონის კომუნისტების აქტიური მონაწილეობით ძალიან მოკლე ხანში შეძლეს წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაცია, ბასეული წლის საკურორტო სეზონის ნორმალურად ჩატარება, საკურორტო-სანატორიულ დაწესებულებათა შეუფერხებელი მუშაობა.

ბორჯომის რაიონი მოფენილია სამშენებლო მოედნებით. ერთდროულად წარმოებს დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა, როგორიც კურორტს არ ახსოვს. შეხსარულებელ სამუშაოთა დიდმა მოცულობამ განაპირობა, რომ შარშან ბორჯომში სპეციალურად ჩამოყალიბდა № 12 სამშენებლო ტრესტი. მიმდინარე მშენებლობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მინერალური წყლის ჩამოსხმელი ახალი ქარხანა, რომელიც მეორე კვარტალის ბოლოს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს და წლის ბოლოდე ათეულ მილიონობით ბოთლ სამკურნალო წყალს მისცემს სამშობლოს. ვაშლოვანში შენდება საგადამყოფო-პოლიკლინიკის კომპლექსი, ლიკანში — ბურკომბინატი. ბორჯომს დაამშვენებს 9-სართულიანი ადმინისტრაციული სახლის შენობა, კვიპროგამშენობის სახლი. უახლოეს ხანში კურორტს შეემატება პლატოს დასასვენებელი სახლის ახალი კორპუსი 200 საწოლით, რის შედეგადაც იგი მთელ წელიწადს იმუშავებს. ასევე მიმდინარე წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ ექიმის ბავშვთა 240-საწოლიანი სანატორიუმი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს სანატორიუმი „ბორჯომ-ლიკანში“ თანამედროვე ტიპის ბალნეო-ფიზიოსამკურნალო კორპუსი, მიმდინარეობს 200 ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა ბორჯომის ცენტრში და სხვ.

მიმდინარე წელის ივნვარში ბორჯომში მუშაობა დაიწყო 200-საწოლიანმა ახალმა პანსიონატმა. უკანასკნელ წლებში სახე იცვალა სამთო-კლიმატურმა კურორტმა ბაკურიანმა, რომელიც დაამშვენა ახალი სასტუმროს, ტურისტული და სამთო-სათხილამურო ბაზების, ახალგაზრდული გამაჯანსაღებელი ბანაკის კომპლექსმა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა და ხორციელდება ბაკურიანის შემდგომი კეთილმოწყობისა და განაშენიანებისათვის.

გენერალური დაგეგმარების პროექტის შესაბამისად დასასრულს უახლოდ ბაკურიან-ქალაქის ცალკეული რაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტების შემუშავება. ყოფილ სანატორიუმ „თბილისის“ ტერიტორიაზე მიმდინარე წელს ინდივიდუალური პროექტით დაიწყება 500-საწოლიანი სანატორიუმის მშენებლობა. გაისად სანატორიუმ „ლიკანის“ ტერიტორიაზე საძირკველი ჩაეყრება ახალ სანატორიულ კომპლექსს, აქვე აიგება 1.000-ადგილიანი კინოსაკონცერტო დარბაზი, რომელიც ორივე სანატორიუმს მოემსახურება. მომავალ წელს ბაკურიანში გათვალისწინებულია 300-საწოლიანი დასასვენებელი სახლის მშენებლობის დაწყება. პლატოზე აშენდება კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, ტურისტული სასტუმრო, სოფელ სადგერთან 500-საწოლიანი სანატორიუმი სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სახსრებით და პანსიონატი, განხორციელდება 26 კომისრის სახელობის პლატოს მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა, რის შედეგადაც იგი ერთ-ერთ ულამაზეს ტყე-პარკად.

ახალმშენ

მსოფლიო დღეს

დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

ქრონიკა ● კროგლემები

ინდოეთი მზარს უჭერს

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა

დელი, 9 აპრილი. (საკდესი). **ინდოეთი მხარს უჭერს სსრ კავშირის პოზიციას საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრის საკითხში, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დინეშ სინგმა.**

პარლამენტის სახალხო პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს გამოსვლისას, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, როგორც ამას პრესტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, რომ ინდოეთი იზიარებს საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს, რომ პატივი სცენ ისტორიულად შექმნილ საზღვრებს, არ მიმართონ ძალას ან ძალის გამოყენების მუქარას ორმხრივი ურთიერთობის საკითხთა მოწესრიგებისათვის.

დინეშ სინგჰმა შემდეგ აღნიშნა, რომ „ჩინეთის აგრესიულობა საფრთხეს უქმნის მის ყველა მეზობელ ქვეყანას, ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ ამ ფაქტს და განვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დარგში, რათა წინააღუდგეთ ამ მუქარას“.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად მთავრობას „უნდა ყოველგვარი უთანხმოება ყოველ ქვეყანასთან გადაწყვეტოს მშვიდობიანი გზით და ამიტომ მზად არის ჩინეთთან განიხილოს ყოველგვარი საკითხი“.

გამოთქვა რა იმედი, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისი შეიძლება მოწესრიგდეს უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე, დინეშ სინგჰმა თქვა: „ჩვენი სიმპათიები არაბული ქვეყნების მხარეზეა, ამიტომ ყოველთაო მხარდაჭერას ვუწევდით მათ ბრძოლას ეროვნული ინტერესების დაცვაში“.

დინეშ სინგჰმა განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა აპირებს შექმნას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სავაჭრო წარმომადგენლობა.

საომარი მოქმედება ნიგერიაში

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). **სეპარატისტთა უკანასკნელი დასაყრდენი — უმუაჰია აღმოჩნდა ფედერალური ჯარების არტილერიის მოქმედების რადიუსში.** ამას, იმოწმებს რა ოფიციალურ წყაროებს, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან.

ნიგერიის ჯარების ოფიციალურ კომუნიკეში, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ნათქვამია, რომ ფედერალური ჯარებს პირველი დივიზიის მეწინავე ნაწილებმა ხელთ იგდეს დასახლებული პუნქტი ნგუ, რომელიც მდებარეობს 18 კილომეტრზე ქალაქ უმუაჰიიდან, რომელიც სეპარატისტ ლიდერთა მთავარი ბანაკია. ამავე დროს ფედერალურმა ხელისუფლებამ უგულებელყვეს სეპარატისტთა მტკიცებანი, თითქოს შეძლეს დაებრუნებინათ ქალაქი ოზუ-აკოლი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე დაიკავეს ფედერალური ჯარების ნაწილებმა.

ზოგიერთი ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, სეპარატისტთა ლიდერები ემზადებიან ქალაქ უმუაჰიას ევაკუაციისათვის.

შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ნიუ-იორკში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შეხვედრები საკითხზე, თუ როგორ შეუძლიათ შეიტანონ წვლილი ახლო აღმოსავლეთის ვითარების მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებაში.

8 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სსრ კავშირის წარმომადგენლობაში გაიმართა ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა.

გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ძლიერდება უმაყოფილება გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერებისა და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილების გამო დაიწყოს „სეიფგარდის“ სახელწოდებით ცნობილი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა. ბევრი ამერიკელი გაზეთების რედაქციებში გზავნის წერილებს, სადაც გამოთქვამს პროტესტს იმ გეგმების წინააღმდეგ, რომელთა შედეგად კვლავ გაიზრდება საჭიროება გამალებული შეიარაღებისათვის.

მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში ჩაებნენ ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილი პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწენი და მეცნიერები.

პროვოკაციები გრძელდება

კაირო, 9 აპრილი. (საკდესი). ისრაელის ჯარებმა გუშინ გვიან სალამოს მეორედ დაუშინეს ცეცხლი ეგვიპტის ჯარების პოზიციებს სუეცის არხის ზონაში და ქალაქების სუეცისა და პორტ-ტაუფიკის მიმდებიან მოსახლეობას. სრულ ერთ საათსა და 30 წუთს გრძელდებოდა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეგვიპტის არტილერიამ საპასუხო ცეცხლი დაუშინა. ეგვიპტის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

ვიზიტი საბჭოთა ამერიკაში

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). **დასავლეთ გერმანიიდან სამხრეთ ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკურ ვოიაჟს შეუდგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი ერჰარდი.** იგი ეწვევა არგენტინას, ბრაზილიას, ჩილეს, ურუგვაისა და პარაგვაის.

კვლავ თავდასხმა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 9 აპრილი. (საკდესი). **ფეერთეგული შტატები კვლავ ხელყოფს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არღვევს დემილიტარიზებული ზონის სტატუსს.** ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 6 და 7 აპრილს ამერიკის ავიაცია თავს დაესხა დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთ ნაწილს და ფუგასური და საფანტიანი ბომბები დაუშინა დასახლებულ პუნქტებს. რესპუბლიკის ტერიტორიას ამერიკის ხომალდებიდან უშენენ ბგრეოვე არტილერიის ცეცხლს. ამის შედეგად იხოცებიან მშვიდობიანი მცხოვრებლები, იწვევა დასახლებული პუნქტები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ისა და სლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმთა სხდომები

პრაღა, 9 აპრილი. (საკდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

პრეზიდიუმმა გააანალიზა ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, — ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ სერიოზულია, რომ არ აღმოფხვრილა დაძაბულობის ძირითადი წყაროები, რომლებიც გამოიხატება ანტისოციალისტური ტენდენციებისა და ძალების ზეგავლენით. ამიტომ პრეზიდიუმი კვლავ ხაზს უსვამს, რომ საჭიროა თავისი ამა წლის 2 აპრილის განცხადების ყველა დასკვნის თანმიმდევრული რეალიზაცია პარტიული ხელმძღვანელობის ყველა საფეხურზე.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა მიიწონა ზოგიერთი პოლიტიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება. ეს ღონისძიებები შეეხება უმთავრესად პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებას ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მუშაობაში და დისციპლინის ამაღლებას პარტიაში. პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოუწოდოს პასუხისმგებლობისაკენ კომუნისტ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ ბოლო დროს აქვეყნებდნენ ან ნებას რთავდნენ გამოქვეყნებინათ სტატიები, რომლებიც ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს იმ კომუნისტთა პარტიის წევრობის საკითხი, რომლებმაც წინააღმდეგ მოქმედი ნორმებისა, დატოვეს ქვეყანა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადასტურა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა სწორი პოზიცია დაიკავა ჩეხ ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადების მიმართ. აღმასრულებელი კომიტეტის პოზიცია გაშუქებული იყო გაზეთ „რუდე პრავოს“ 5 აპრილის ნომერში. აღმასკომმა დაგმო ჩეხ ჟურნალისტთა კავშირის „უპასუხისმგებლო მიდგომა“ „სეროიზული პრობლემებისა და ამჟამად ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისადმი“.

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის განხილვის მიზნით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა 17 აპრილს მოიწვიოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პრაღა, 9 აპრილი. (საკდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, რომელზეც გააანალიზეს რთული პოლიტიკური მდგომარეობა, რაც უკანასკნელი დღეების ამბებთან დაკავშირებით შეიქმნა.**

ანტისოციალისტური ძალები, ნათქვამია ცნობაში, რომლებმაც უკვე რამდენჯერმე გამოიწვიეს ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე კრიზისული მდგომარეობა ჩვენს საზოგადოებაში, კვლავ გამოვიდნენ სცენაზე ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით და მტრული და ბარბაროსული აქციებითაც კი გამოიჩინეს თავი.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც დაგმო ეს აქციები ჯერ კიდევ თავის 1969 წლის 31 მარტის სხდომაზე, საგანგებო უქერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1969 წლის 2 აპრილის განცხადებას.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს განსაკუთრებით საგანგაშოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური ძალების ძალადურ მოქმედებას, რაც მოხდა 28 მარტს ღამით, ზოგან აწყობა ტერორისტული და კონტრრევოლუციური ხასიათი ჰქონდა.

ამ ძალების არაერთგზის გამოსვლებთან დაკავშირებით სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს უადრესად მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიაჩნია, რომ მდგომარეობის სერიოზულობა შეიგნონ მთელმა პარტიამ და ყველა ჩვენმა მშრომელმა.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შ. სადოვსკის ცნობა მთავრობის ღონისძიებათა შესახებ იმ ამბებთან დაკავშირებით, რაც ამა წლის 28 მარტს ღამით მოხდა ბრატისლავასა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქში.

გააანალიზა რა ამ ნეგატიურ მოვლენათა მიზეზები, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ანტისოციალისტური ძალების ძალადური მოქმედება მნიშვნელოვან წილად იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად არ ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც ფორმულირებულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის რეზოლუციისა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში. მხოლოდ თანმიმდევრობა მუშაობაში და უკომპრომისო პოზიცია ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური ძალების მიმართ დაიჩქარებს ამოცანების შესრულებასა და დასახული მიზნების მიღწევას.

ფაქტი კომენტარით

რას ეძებს ბონი ლათინურ ამერიკაში?

ბონი, 9 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი იუწყება:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სულ უფრო იკიდებს ფეხს ლათინური ამერიკის კონტინენტზე. ამას მოწმობს, კერძოდ, ბონის მეცნიერული კვლევის საკითხთა მინისტრის შტოლტენბერგის ვიზიტის შედეგები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა.

დასავლეთბერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან ჩანს, რომ მისი ვიზიტი კოლუმბიაში, ბრაზილიაში, არგენტინასა და ჩილეში ემსახურებოდა უწინარეს ყოვლისა ახალი გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების თვალსაბას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განვითარებადი ატომური მრეწველობისათვის. როგორც თვით შტოლტენბერგმა აღიარა, ხსენებული ქვეყნების ხელმძღვანელებთან მისი მოლაპარაკების ცენტრალური თემა იყო „თანამშრომლობა ატომის დარგში“.

„ატომური კვლევა და ატომური ტექნიკა, — აღნიშნავს გაზეთი „დიფელტ“, — პირველ ადგილზეა იმ დარგებს შორის, რომლებშიც არგენტინა, ბრაზილია და ჩილე აპირებენ ითანამშრომლონ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან“. ამ გაზეთის სიტყვით, „ეეთი თანამშრომლობა „ფრიად ცალმხრივია“: ტექნიკური და ფინანსური „დახმარების“ სანაცვლოდ დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები მიიღებენ მრავალმილიონიან შეკვეთებსა და კონცესიებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გააძლიერებენ ამრიგად, მათს ეკონომიურ დამოკიდებულებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე.

შემთხვევითი როდია, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და არგენტინას შორის მეცნიერულ-ტექნიკური შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით (ასეთი შეთანხმებების დადება განზრახულია ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთანაც) ადგილობრივი კომენტატორები ხაზს უსვამენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება მხოლოდ „პირველი ნაბიჯია სამრეწველო თანამშრომლობისაკენ“. მაგალითად, ტექნიკური დახმარებას შესახებ დადებული შეთანხმების სანაცვლოდ დასავლეთ გერმანიის კონცერნებმა არგენტინიაგან უკვე მიიღეს შეკვეთა ამ ქვეყანაში პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე. ეს პირველი ამგვარი შეკვეთაა, რომელიც დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებმა მიიღეს ლათინურ ამერიკაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომურ მრეწველებს იმედი აქვთ ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის შეკვეთა მიიღონ აგრეთვე ბრაზილიისა და ჩილესაგან. დასავლეთ გერმანიის ატომური მონოპოლიები ცდილობენ გააფართოონ საკუთარი ნედლეულის ბაზაც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ცნობები ბრაზილიაში ურანის მადნის საბადოების შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური ექსპანსია ლათინურ ამერიკაში გიგანტურ მასშტაბს აღწევს. ამასვე მოწმობს ბონელი ვიზიტიორების განუწყვეტელი ნაკადი ლათინური ამერიკის ქვეყნებში. სამხრეთ ამერიკაში გაფრინდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური ერჰარდი, რომლის ეკონომიურ რჩევას დღემდე ყურს უგდებენ ბონში.

ბონელი ბიზნესმენები ლათინურ ამერიკაში

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). **ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობენ ლათინური ამერიკის სპეციალური საკოორდინაციო კომისიის ექსპერტების სხდომაში, ერთსულოვნად დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატები პერუს სამნიო საქმეებში ჩარევისათვის.** ამერიკის ნაციონალის კომპანია „ინტერნეფნლ პეტროლეუმის“ ექსპროპრიაცია, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც მათ მიიღეს და რომელიც გამოაქვეყნა გაზეთმა „კლარინმა“, არ აძლევს შეერთებულ შტატებს უფლებას განახორციელოს პერუს წინააღმდეგ „ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ძალადური ღონისძიებანი“.

პარტიზანები მოქმედებენ

კაირო, 9 აპრილი. (საკდესი). **გუშინ „ალ-ახიფის“ პარტიზანულმა რაზმებმა რაკეტები დაუშინეს ისრაელის ეილატის ნავსადგურს, იმის პასუხად, რომ გუშინ დილით ისრაელი თავს დაესხა იორდანიის აკაბის ნავსადგურს.**

ამ ორგანიზაციის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეცხლოს დაშენის შედეგად დაინგრა სანავსადგურო ნაგებობანი, არიან დაზიანენი და დაჭრილნი ისრაელის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის.

12 მილიარდი დოლარი ომისათვის

ვაშინგტონი, 9 აპრილი. (საკდესი). **პრეზიდენტმა ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონს 12 მილიარდი დოლარით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის მაქსიმალური დონის ამაღლების შესახებ. ამრიგად, ამ დონემ 377 მილიარდ დოლარს მიაღწია.**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის ესოდენ დიდი თანხა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიული ომის საწარმოებლად გამალებული შეიარაღებისა და ხარჯების პირდაპირი შედეგია.

ტრაგიკული სტატისტიკა

რიო-დე-ჟანეირო, 9 აპრილი. (საკდესი). **შარშან მომხდარი საწარმოო ტრავმატიზმის შესახებ ბრაზილიის შრომის სამინისტროს მონაცემებით, ერთი უბედური შემთხვევა მოდის ყოველ ათ მუშაზე. სულ წლის მანძილზე საწარმოებში აღნიშნულია 278 ათასზე მეტი უბედური შემთხვევა, მათ შორის ნაწილი დამთავრდა სიკვდილით, შრომისუნარიანობის სრული დაკარგვით, დროებითი ინვალიდობით.**

გაზეთი „ეკონომისტი“, რომელმაც გამოაქვეყნა ეს მონაცემები, შრომის სამინისტროს ცნობას „ტრაგიკულ სტატისტიკას“ უწოდებს.

ნაყალდიდოგა ირანში

თეირანი, 9 აპრილი. (საკდესი). **კოკისპირულმა წვიმებმა ირანის აზერბაიჯანში გამოიწვია წყალდიდობა, რის შედეგად დაიღუპა 20 კაცი, 60 ათასი უსახლკაროდ დარჩა, დაინგრა 384 სოფელი. საშიში მდგომარეობა შეიქმნა მდინარე არაქსის ხეობაში. აქ მოსახლეობა გახიზნეს 150 სოფლიდან, 400 სოფელს კი დატბორვა ემუქრება.**

ირანის პრესა შეშფოთებას გამოთქვამს ჭალფაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირ-ირანის „აკრობის“ დიდმნიშვნელოვანი სატრანზიტო ცენტრია. ამჟამად, წერს გაზეთი „ტეჰრან ინტერნეშნლი“, ჭალფის საწყობებში არის ქონება, რომლის ღირებულება ასობით მილიონ რიალს შეადგენს.

მარცხი ჰიუსტონში

ნიუ-იორკი, 9 აპრილი, (საკდესი). **ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) გუშინ გარდაიცვალა ბასკელ კარბი — პირველი ადამიანი, რომელმაც 65 საათს იცოცხლა ხელოვნური გულით. 4 აპრილს კარპს გადაუნერგეს ხელოვნური გული, ვინაიდან საჭირო იყო დაუყოვნებლივი ქირურგიული ჩარევა. 7 აპრილს მას მეორედ გაუკეთეს ოპერაცია და ამჯერად ხელოვნური გულის ნაცვლად გადაუნერგეს ტყვინის დაავადებით გარდაცვლილი ქალის გული.**

ჯერჯერობით ექიმები არ ამხელენ კარბის სიკვდილის მიზეზს. ვარაუდობენ, რომ სიკვდილის მიზეზი იყო ფილტვების ანთება და თირკმელის დაავადება.

ლაპარაკის ნიღბით

პარიზი, 9 აპრილი. (საკდესი). **მშვიდობაზე ლაპარაკის ნიღბით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავაც აფართოებს დანაშაულებრივ და სასტიკ აგრესიას სამხრეთ ვიეტნამში, განაცხადა გუშინ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის წარმომადგენელმა ჩან ხოაი ნამმა ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე.**

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის ჯარებმა, რომლებსაც ახალახალი მაშველი ძალები ემატება, გააფართოეს სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის „დაშმშინების კამპანია“, უფრო დიდი მასშტაბით იყენებენ „ბ-52“ ტიპის სტრატეგიულ ბომბდამშენებსა და ქიმიურ იარაღს.

ჩან ხოაი ნამმა აღნიშნა, რომ ეგრეთწოდებული ახალი წინადადებანი „სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების“ შესახებ, რომლებიც ამ ბოლო დროს საიგონის ადმინისტრაციამ წამოაყენა, სინამდვილეში სულ არარის ახალი და მათი პატრონების — ამერიკელების მტკიცებათა განმეორებაა. ეს „წინადადებანი“, თქვა მან, ამხილებენ ხალხისა და სამშობლოს მოღალატეთა — თხიეუკი-ხოიშგის ადმინისტრაციის ნამდვილ სახეს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალი მანევრია, რომელიც ცდილობს გაამართლოს საიგონის ადმინისტრაცია, რათა კვლავაც გამოიყენოს თავის ინსტრუმენტად სამხრეთ ვიეტნამში ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

სანამ ამერიკის შეერთებული შტატები, ხაზი გაუსვა შემდეგ ჩან ხოაი ნამმა, განაგრძობენ თავის პოლიტიკას და მხარს დაუჭერენ საიგონის ადმინისტრაციას, შეუძლებელია სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის სწორი პოლიტიკური გადაჭრა. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთი პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა მოწესრიგების საფუძველია, დასძინა მან და ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების. ეროვნული ფრონტი სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენელმა გაანცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ცნოს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთი პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, საფუძვლად დაუდოს იგი სამხრეთ ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებას, შეწყვიტოს აგრესიული ომი და რაიმე პირობის დაუდებლად გაიყვანოს თავისი ჯარები და სატელიტების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

ვიეტნამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს. სოფლელ ქალებს ველზე დიდი კალათებით მიაქვთ ცოცხალი ყვავილები ბაზარზე ჰანოიში.

ფოტო ვ. სოგოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ამერიკელი ტერორისტები

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). **ბონის „ალ-ფატაჰ“ ორგანიზაციის ტერორისტებმა ბომბი ჩაუდეს ბონში ამერიკელ ოფიცრებზე ავტომობილ „ბუიკ-ელექტრაზე“ ნაღმსატყორცნი ბომბი ეტინა ავტომობილ „ბუიკ-ელექტრაზე“ ამერიკელ ოფიცრებზე.**

ბონელ ოფიცრებზე

ბონი, 9 აპრილი. (საკდესი). **ბონელ ოფიცრებზე ბომბი ესროლეს ბონ-ბეტენდორფ-ბეტენდორფ-ბონ-ბეტენ-ბონ-ბეტენ-ბონ-ბეტენ

საქართველოს ეთაღლაგარში

ბოტანიკური ბაღი ქუთაისში

შესანიშნავი საჩუქარი მიიღო ქუთაისმა — საკუთარი ბოტანიკური ბაღი, უფრო სწორად — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალი.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი გაიხსნა ჭომის ძველისძველი პარკის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ერთი საუკუნის წინათ ჩვენებურ და უცხოურ მცენარეთა ჯიშები გააშენა გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს ნიკო მარის მამამ, იმ დროისათვის ცნობილმა მებაღემ იაკობ მარმა.

ბაღში უურადღებას იქცევს უნიკალური სეკვოია, რომელიც თავისი საერთო სიდიდით (45 მეტრი სიმაღლის და 160 სანტიმეტრი დიამეტრისა) იშვიათია ჩვენს ქვეყანაში. აქ ხარობს აგრეთვე ხეტიტა, დიდყვავილა და ფოთოლმცვივანი მაგნოლიები, კრიპტომერია, ცრუ კვიპაროსი და სხვა ძვირფასი მცენარეები.

ამჟამად ბაღში 120-მდე სხვადასხვა ჯიშის ხე და ბუჩქია. ახლო მომავალში მათი რიცხვი გაიზრდება. მარტო წელს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღს 500-მდე სხვადასხვა ჯიშის ძვირფასი მცენარე შეემატება. ახლანდელთან შედარებით დიდად გაიზრდება ბაღის ტერიტორია.

ბოტანიკური ბაღი კიდევ მეტ ეშხსა და სილამაზეს შემატებს ისედაც მწვანეში ჩაფლულ სავარდო და სამახსო ქუთაისს. („კომუნისტის“ კორ.).

ამუშავდა ავტომატური ტელეფონები

გურჯაანი. (საკ. კორ.). წლითიწლობით მაღლდება შაშიანის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველთა კულტურულ-მატერიალური ცხოვრების დონე. ამ დღეებში შაშიანელებმა ახალი საჩუქარი მიიღეს — საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური. ავტომატურმა ხაზებმა დააკავშირა სოფლის უბნები, საკოლმეურნეო ფერმები და ბრიგადები.

◆

საგუის ნაკრძალში

ყვარლის რაიონის საგუის ნაკრძალში, რომელსაც 6.400 ჰექტარი უკავია, საკმაოდ მომრავლდა ფშველი, არჩვი, ჯიხვი, გარეული ღორი, კურდღელი და ხოხობი. აქ წელს ნადირისათვის ათეულ ჰექტარზე დათესავენ ქერს, სიმინდსა და ფეტვს. (საქდისი).

ახალი მუზეუმი

წყალტუბო. (საკ. კორ.). აქ გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კულტურის ახალ კერასთან შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომელმაც ფართო მუშაობა გააჩაღა ექსპონატების შეგროვებისა და თემატური გამოფენების მოწყობისათვის.

მუზეუმში ეწყობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქვე წარმოდგენილი იქნება როგორც ჭალაქ-კურორტ წყალტუბოს, ისე რაიონის ძველი და ახალი ყოფის ამსახველი საინტერესო მასალები.

დაწყებულია და მომავალი წლის გაზაფხულზე — ღირსშესანიშნავი იუბილესათვის დამთავრდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი ორსართულიანი შენობის აგება.

◆

კითხვა-პასუხის საღამო

საჩხერე. (საკ. კორ.). სხვიტორში აგროტექნიკისა და სასოფლო ბიბლიოთეკის თაოსნობით გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

შეკითხვები ეხებოდა ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს.



მოწინავე მეურნეობაში

ხობის რაიონის ხეთის დაფნიხა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალრენტაბელური სუბტროპიკული მეურნეობაა. მისი ყოველწლიური შემოსავალი 400-500 ათას მანეთს შეადგენს. **სურათზე:** ხეთის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსებისა და დაფნის პლანტაციების მექანიზებული დამუშავება ზეთის ემულსიით.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

ექიმი — მწყემსთა მეგობარი

ყაზბეგი. (საკ. კორ.). შესანიშნავი ტრადიცია მკვიდრდება რაიონულ საავადმყოფოში. ყოველ ზამთარში და გაზაფხულზე საავადმყოფოს ექიმები მიემგზავრებიან შორეულ ნოღაეთში მყოფ მწყემსებთან, ახორციელებენ საჭირო სამკურნალო ღონისძიებებს. ამას წინათ მკაცრ ყინვებსა და ქარიშხალში კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრები შემოიარა ექიმმა რ. საბაურმა. იგი იყო რაიონის კოლმეურნეობათა ყველა ბინაში, გულდასმით შეამოწმა თვითეული მწყემსის ჯანმრთელობა და უმკურნალა მათ. გარდა ამისა, რ. საბაური მეცხვარეებს ესაუბრა სხვადასხვა სამედიცინო თემებზე.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ...

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: ძალაშია თუ ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის დადგენილება კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, სპეციალისტთა და მექანიზატორთა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ?

კ. ცაგურია,
ჩხოროწყუს რაიონი.

პასუხი: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, სპეციალისტთა და მექანიზატორთა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის შესახებ“ არ გაუქმებულა. იგი ძალაშია და მოქმედებს მთლიანად.

შეკითხვა: მყავს ორი ძმა და ერთი და. ოთხივენი არასრულწლოვანნი ვართ. გარდაგვცალა მამა. დედა მოხუცია. პენსიას არ გვინიშნავენ, რადგან ვუპატრონთ არა მამის, არამედ დედის გვარს. გვეკუთვნის თუ არა პენსია?

ნ. ბარბაქაძე,
ყვარლის რაიონი.

პასუხი: მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილის ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. შვილები, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი (მოსწავლეებს კი 18 წელი) ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებად ითვლებიან. რაც შეეხება გვარს, პენსიის დანიშვნისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვის გვარს ატარებს შვილი: მამისას თუ დედისას.

შეკითხვა: კომლში ვცხოვრობთ სამი სული. მამაჩემი 78 წლისაა, დედაჩემი — 62 წლისა. III ჯგუფის ინვალიდი ვარ. გვეკუთვნის თუ არა შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში?

ფ. ამილახვარი,
ზესტაფონის რაიონი.

პასუხი: სასოფლო-სამეურნეო გადასახადში შეღავათების მინიჭებისას III ჯგუფის ინვალიდი შრომისუნარმოკლებულთა რიცხვს არ მიეკუთვნება. ამიტომ თქვენი მშობლების მეურნეობაზე, რომელშიც თქვენ პირადი შრომით იღებთ მონაწილეობას, შეღავათები არ გავრცელდება.

შეკითხვა: ვმუშაობ ხოფელ მოისძირის რვაწლიანი სკოლის დარაჯად. რამდენიმე წელია მორიგ შვებულებას არ მაძლევენ. მეკუთვნის თუ არა?

დ. შენგელია,
ვანის რაიონი.

პასუხი: მრეშმედი კანონის თანახმად ყოველ მუშას და მოსამსახურეს (ქალი შორის სკოლის დარაჯსაც) უფლება აქვს წელიწადში ერთხელ ანარგებლოს მორიგი შვებულებით. საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა მისცეს მუშაკს მორიგი შვებულება სამუალო ხელფასის ანაზღაურებით.

მორიგი შვებულება მუშაკს შეიძლება არ მიეცეს მიმდინარე წელს და გადაედოს შემდგომი წლისათვის იმ შემთხვევაში, თუ მისი შვებულებაში ყოფნა უარყოფით გავლენას მოახდენს საწარმოს ან დაწესებულების ნორმალურ მუშაობაზე. თუ მიმდინარე წელს მუშაკს მორიგი შვებულება არ გამოუყენებია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით და არც შესაბამისი კომპენსაცია მიუღია, შემდგომ წელს მისი შვებულება გაგრძელებული იქნება იმ ვადით, რომლითაც მას არ უსარგებლია. მორიგი შვებულების ზედიზედ მიუცემლობა ორი წლის განმავლობაში აკრძალულია.

შეკითხვა: ვმუშაობდი ფაბრიკაში მქსოველად. მუშაობის დროს, არა ჩემი მიზეზით, დაზგიდან მაქოს ამოვარდნის შედეგად დავზიანდი და გავხდი II ჯგუფის ინვალიდი. დამინიშნეს პენსია 47 მანეთის ოდენობით. ჩემი საშუალო ხელფასი კი იყო 112 მანეთი. პენსიის გარდა სხვა არავითარი შემოსავალი არა მაქვს. ვალდებულია თუ არა ფაბრიკის ადმინისტრაცია გადამიხადოს სხვაობა ხელფასსა და პენსიას შორის?

ვ. მამაგეიშვილი,
ქ. ქუთაისი.

პასუხი: თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ ზიანის ანაზღაურება, რაც მდგომარეობს ხელფასის იმ ნაწილის ანაზღაურებაში, რომელიც მოგაკლდათ შრომის უნარის დაკარგვის გამო. გარდა ამისა, თქვენ აგინაზღაურებთ ჯანმრთელობის აღსადგენად საჭირო აუცილებელი დამატებითი ხარჯები.



როგორ ვებრძოლოთ კიბოს!..

მედიკთა ახალი ორლეანის მსოფლიო ფორუმზე

მარტის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ახალ ორლეანში გაიმართა მედიკთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც მიეძღვნა საშვილოსნოს კიბოს პრობლემას. კონგრესი მოაწყეს ამერიკის მეან-გინეკოლოგთა, ონკოლოგთა და მათთან გაერთიანებულმა საზოგადოებებმა.

მედიკთა ამ ფართო ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის, ევროპისა და აზიის მრავალი სახელმწიფოს გამოჩენილმა მეცნიერებმა. კონგრესის ორგანიზატორებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა მეცნიერების მიმართ. რაც გამოიხატა იმაში, რომ თავისივე ხარჯით ჩვენი ქვეყნიდან მიიწვიეს საბჭოთა კავშირის მთავარი მეან-გინეკოლოგი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ლ. ნოვიკოვა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი კ. ჩაჩავა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუგულური შეხვდა პროფესორ კ. ჩაჩავას და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

□ □

— გთხოვთ გვითხრათ, რა შეადგენდა კონგრესის მთავარ მიზანს და რა მდგომარეობაა“ საერთოდ საშვილოსნოს კიბოს მკურნალობაში?

— მეცნიერებისათვის უკვე კარგადხანია ცნობილია საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნე და დიდი კვლევითი მუშაობა წარმოებს მასთან ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებათა მისაგნებად. ამ დაავადებისადმი მეცნიერთა ასეთი ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ საშვილოსნოს კიბოთი ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება.

კონგრესის ერთ-ერთი მიზანი იყო საზოგადოებისათვის შეეტყობინა, რომ დღისდღეობით მსოფლიოში არ არსებობს კიბოს დაგვიანებულ შემთხვევაში მისი განკურნების რაიმე საიმედო მეთოდი. ამიტომ დაავადებასთან ბრძოლის საკითხში, პირველ რიგში, მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის პროფილაქტიკურ განათლებას. ამ გასინჯვის მიზანია დროულად გამოვლინებულ იქნას ავთვისებიანი სიმსივნე მის დასაწყის სტადიაში, რადგან საშვილოსნოს კიბოთი დაავადებისას ავადმყოფს რაიმე შესამჩნევი სიმპტომები არ აღენიშნება.

კონგრესზე მოვისმინეთ მრავალი საინტერესო მოხსენება საშვილოსნოს კიბოს ადრეული გამოვლინებისა და მკურნალობის საკითხებზე. მინდა აღვნიშნო, რომ პირველი მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა მედიცინის მიღწევებისადმი. მაგალითად, გამოჩენილმა მეცნიერმა, ამერიკის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა ტეიფორმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: ამერიკელი მეანგინეკოლოგებისათვის ნომერ პირველი საკითხია იმის გაგება, თუ რა კეთდება საბჭოთა კავშირში კიბოსთან ბრძოლის საქმეში. ისინი აგრეთვე დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი შრომებისადმი, რომლებიც ეხებოდა ელექტრო-ფიზიოლოგიურ გამოკვლევებს მეან-გინეკოლოგიაში.

კონგრესზე ლ. ნოვიკოვას მოხსენება შეეხებოდა საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ონკოლოგიური მომსახურების საკითხს. ჩემი მოხსენების თემა იყო საშვილოსნოს კიბოს ადრეული გამოვლინების საკითხი.

— საინტერესოა, როგორ აშუქებდა პრესა კონგრესის მიმდინარეობას. თუ გქონდათ შეხვედრები ჟურნალისტებთან?

— როგორც მოგახსენეთ, ჩვენდამი ყურადღება დიდი იყო. ლ. ნოვიკოვასა და მე მოგვიგიხდა ჟურნალისტებთან პრეს-კონფერენციის გამართვა, აგრეთვე გამოსვლა ტელევიზიით. ფართოდ აშუქებდა კონგრესის მიმდინარეობას პრესა. ცენტრალურ გაზეთებში „სტაიტს აიტემში“ და „ლიტანიმის პიკაჯინში“ ვრცლად იყო გაშუქებული ჩვენი მოხსენებები და პრეს-კონფერენციის ანგარიში.

„სტაიტს აიტემში“ გამოქვეყნებული წერილის სათაური იყო „საბჭოთა კავშირის მეცნიერები პაპანიკოლაუს ტესტის შესახებ“.

— რას ნიშნავს პაპანიკოლაუს ტესტი?

— გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერის პაპანიკოლაუს ტესტი კარგად არის ცნობილი მსოფლიოს მეცნიერებისათვის. ეს მეთოდი ჯერ კიდევ 1933 წელს იქნა აღიარებული. მისი დახმარებით შესაძლებელი ხდება ორგანოს ჩამონაფცქვნილი უჯრედების სათანადო დამშვავებითა და შესწავლით ავთვისებიანი სიმსივნის ადრეული გამოვლინება. ამ მეთოდს დიდი წარმატებით იყენებენ ჩვენშიც. პროფესორი პაპანიკოლაუ ამჟამად ცოცხალი აღარ არის. მის პატივსაცემად კონგრესზე მიწვეული იყო მისი მეუღლე.

პაპანიკოლაუს მეთოდი წარმატებით არის გამოყენებული ამერიკაში. მაგალითად, ყოველწლიურად შეერთებულ შტატებში პროფილაქტიკური გასინჯვა წარმოებს 20 მილიონ მოსახლეზე, რაც ნამდვილად ჯეროვანია.

— მაშასადამე, თქვენ კიბოსთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიგაჩნიათ მისი ადრე გამოვლინება?

— დიახ, ეს არის ჩვენთვის ახლა მთავარი. და სწორედ მინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იცოდნენ — ყოველი ქალი, ავადმყოფი იქნება ის თუ ჯანმრთელი, ექვს თვეში ერთხელ უნდა გაიესინჯოს ექიმს. მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვა ამ შემთხვევაში მთავარია.

ავთვისებიანი სიმსივნეების პრობლემა ყველა სახელმწიფოსათვის წარმოადგენს პირველ საკითხს. ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო მედიცინის მუშაკებმა, არამედ მთელმა საზოგადოებამ. დღესდღეობით, როგორც აღინიშნეთ, მთავარია კიბოს ადრეული გამოვლინების საკითხი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავადმყოფის განკურნება შესაძლებელია.

— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ახალმა ორლეანმა, ბოლო ხანებში ამ მეტად გახმაურებულმა ქალაქმა?

— მომხიბლავია ახალი ორლეანი, მისი არქიტექტურა. აქ ერთმანეთთან ბრწყინვალედ არის შეხამებული ძველი, ჯერ კიდევ ნაპოლეონისდროინდელ ნაგებობათა არქიტექტურა თანამედროვე ხუროთმოძღვრების სტილთან. ათვალიერებთ ქალაქის უძველეს უბნებს, მიდიხართ მის ვიწრო, პატარა ქუჩებში და ასე გგონია, მოგზაურობთ ძველ ევროპაში. ამის ილუზიას აძლიერებს ის უძველესი ეკიპაჟები, რომლებსაც სრულებითაც არ ესამუშებათ თანამედროვე ბრწყინვალე ავტომობილების გვერდით მძიმრაობა.

ახალი ორლეანი ერთ-ერთი მსხვილი სანაფსადგურო და სამრეწველო ქალაქია. ეს ამერიკის შეერთებული შტატების საფეიერო მრეწველობის ცენტრია.

ქალაქის რბილი, თბილი ჰავა, მისი ლამაზი პარკები, ბაღები, ტბა, შესანიშნავი პლაჟები წლის ყოველ დროს იზიდავს მრავალ ტურისტს. ქალაქის ერთ-ერთ დიდსშესანიშნაობას წარმოადგენს მდინარე მისისიპზე აგებული ორსართულიანი ხიდი, რომელიც თავისი სიდიდით მეორეა ამერიკაში. ჩამოსულთა შორის დიდ ინტერესს იწვევს ახალი ორლეანის ფრანგული ჯგარალი.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას ახალი ორლეანის ცნობილი ოპერის, მისი განთქმული კოლეჯების შესახებ. მეუხერხულად ასეთი მაღალი კულტურისა, ჩვენს გაკვირვებას იწვევდა ის დიდი რასობრივი სხვაობა, რომელიც შესამჩნევია ქალაქის მოსახლეობაში.

ამ დღეებში კ. ჩაჩავამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო საშვილოსნოს კიბოს პრობლემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი ვილიამ კრისტოფერსონის წერილი.

— „ძვირფასო პროფესორო ჩაჩავა, — წერს იგი, — ამერიკის ონკოლოგთა საზოგადოების სახელით გადმოგცემთ დიდ მადლობას თქვენი მონაწილეობისათვის საშვილოსნოს კიბოს პრობლემებისადმი მიძღვნილ კონგრესზე და განსაკუთრებით თქვენი ბრწყინვალე მოხსენებისათვის.

გავეცანით რა თქვენს მეთოდს საშვილოსნოს კიბოს დიაგნოსტიკის საკითხში, ამით ჩვენ გავიფართოეთ ცოდნა ამ დარგში“.

* * *

სურათებზე: ზემოთ — პროფესორი კ. ჩაჩავა, ქვემოთ ფოტოილუსტრაცია ამერიკული გაზეთებიდან „ლიტამმს პიკაჯინიდან“ და „სტაიტს აიტემიდან“, სადაც გამოქვეყნებულია წერილები საბჭოთა მეცნიერების შესახებ. აქვე ჩაჩავასადმი ვ. ქრისტოფერსონის წერილის ფოტოასლი.

გუშინ ფეხბურთის მოედნებზე

გრძელდება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატი. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ტამკენტის ოლქის „პოლიტოტდელესა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ტყიბულში პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ „მეშახტესა“ და ყარაგანდის „შახტიორს“. აქაც შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 0:0.

ნყალბურთელთა ტურნირი

თბილისში გრძელდება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის წყალბურთელთა კოლექტივების საკავშირო შეჯიბრება. საქართველოდან გამოდის თბილისის „ლოკომოტივი“.

წარმატებით აიღეს სტარტი მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის, ვოლგოგრადის „სპარტაკის“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებმა, რომელთაგან ოთხ-ოთხი ქულა აქვთ და ლიდერები არიან.

ლოკომოტიველებმა მორიგ მატჩში დაამარცხეს ლენინგრადის „სპარტაკი“ ანგარიშით 4:3.

რამდენიმე სტრიქონით

□ **გრძელდება** ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება საიბიან ჰოკეში. წარმატებით გამოდის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი. მეორე ნახევარფინალური შეჯიბრება არმიელ ჰოკეისტებს ჰქონდათ მოსკოვში ბერლინის „დინამოსთან“ და გაიმარჯვეს 13:0. ცსკა-ს მოგებული ჰქონდა აგრეთვე პირველი შეხვედრა (11:1), ამიტომ იგი ფინალში გავიდა.

□ **დამთავრდა** ახალგაზრდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდიოდა მოსკოვის „ბურევესტნიკი“. მართალია, საბჭოთა ფეხბურთელები ფინალში გავიდნენ, მაგრამ აქ დამარცხება განიცადეს სოფიის „ლევსკისთან“ 0:1 და მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

□ **მოსკოვში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. წარმატება შეიარაღებული ძალების მესტენდურებს ხვდათ.



ვ. ს. კობახიძე —

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა **ვალერიან სოგრატის-ძე კობახიძემ** უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ფიზიკის სწავლების მეთოდიკა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **ვ. ს. კობახიძისათვის** პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის პროსპ. 74)

12 და 13 აპრილს

ფ. ეხგურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის.

12 აპრილს I ჯგუფი

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი)

13 აპრილს II ჯგუფი

„შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)

ძირითადი შემადგენლობანი.

თამაშების დასაწყისი 3 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 10 და 11 აპრილს 12 საათიდან 19 საათამდე. საერთო გაყიდვა 12 აპრილს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

რადიო

11 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — რუსული. ნაწყვეტები ოპერიდან „სევილიელი დალაქი“, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ტ. ბაქრაძე. კამერული ნაწარმოებები, 11.45 — აფხაზური სიმღერები, 12.10 — ციკლიდან „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „კომუნისტები ეფფლებიან ლენინურ მოძღვრებას“, 12.25 — ბ. ტიშჩენკო. მუსიკა სიმფონია, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.20 — ბრიტანი. სიმღერები, 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მ. ფარცხალაძის, ი. გეგეძის და ვ. აზარაშვილის საორკესტრო პიესები, 17.35 — მოსწავლეთათვის. საუბარი „ლენინი და ბავშვები“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მღერის დაკით გამრეკელი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — რადიონარკვევი „გამარჯობა, ქართველო“, 19.15 — ბუკი. ლირიკული კონცერტი ვიოლინისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „მიღწევებისა და ტექნიკის სამყაროში“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — კონცერტი — თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — საუბარი „ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა“, 22.50 — სიმღერები ვ. ვეშაგაია და ც. ციციშვილის შესრულებით, 23.30 — ჯალიანოვი. სიმფონიური სურათი „ვედარი და ჯალმა“ ფერ ინტერმეცო, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

10 აპრილი

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.30 — „ახალი ტიქნიკა — სოფელს“, 18.45 — საქართველოს ტელევიზიის ფირადი პროგრამა „ბლობესი“, 19.35 — ვადაცემა „ვისი საცნობებია ეთერში“, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „მუსიკალური კალენდარი“, 21.50 — მხატვრული ფილმი „მარიანა“ (ქართული ვარიანტი), 22.10 — მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 10 ს. და 55 წ.

თეატრები

10 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეგვანი ონეგინი (31-ე სასკოლო ამბონ.), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გვადი ბიგვა, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გუშინდელნი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეცხრე ტალღა (პრემიერა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 6 ამონ. საღ. 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ფულიგერი ლილიპუტების ქვეყანაში (დღის 11 ს. და 1 ს.).

კინო

10 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი**, ამირანი, სპარტაკი, გაზაფხული, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **დიდად დასაიუმლოებული პრემიერები**, ისანი, ოფიცერთა სახლი, საქართველო (მუშური დარბაზი) — **ძმები კარამაზოვები** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **ნიღბიანი მეამბოხე**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ნაკადული, თანამგზავრი — **„იანტარნაიადან“ გაქცეული**, ამირანი; 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), ნაკადული, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **მკვდარი სეზონი** (I, II სერია), კოლხიდა, კომკავშირელი, ბათუმი, თანამგზავრი, სპორტი — **პოემა ქვაში** (I, II სერია), ყაზბეგი, ბათუმი, კოლმეურნე — **ტარიელ გოლუა**, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ახალგაზრდული შეცდომები**, ბათუმი — **განგაში**, ეკრანი — **ბუბენ ხაცოლე**, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **თავგადასავალთა მაძიებელნი**, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **მარჯვედ მოეწყო** (11, 3, 7 ს.), კომკავშირელი — **ქორწილი მალინოვკაში**, საქართველო (წითელი დარბაზი) — **სანგამი** (I, II სერია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდერი შეიცვალა

მონტე-კარლოში მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაჟთათვის, 9 აპრილამდე გათამაშდა 8 ტური. მერვე ტურის შეხვედრებმა თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა სატურნირო ცხრილში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ლიდერთა პარტიები. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა რთულ პოზიციაში გადადო პარტია უნგრელ კ. ჰონფიესთან. გროსმაისტერმა ლ. პორტიშმა (უნგრეთი) მე-20 სვლაზე დაამარცხა გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი. ჩეხოსლოვაკიელი ვ. ჰორტისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლის რ. ტეშნერის პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ცხრა ტურის შემდეგ დაწინაურდა ლ. პორტიში, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. ვ. ჰორტი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება, ვ. სმისლოვს 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

კ. ბ. ცინცაძე

ძველ ბოლშევიკთა რიგებს გამოაკლდა პერსონალური პენსიონერი **კალენიკე ბესარიონის-ძე ცინცაძე,** სკკპ წევრი 1917 წლიდან.

კ. ცინცაძე დაიბადა 1879 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო ფარცხმაში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. მას ადრიდანვე ხვდა იმდროინდელი ცხოვრების დუხჭირი ხვედრი. რევოლუციის აღმავლობის წლებში იგი დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას და ასრულებდა სხვადასხვა საიდუმლო დავალებებს.

კ. ცინცაძე აქტიურად მონაწილეობდა 1919 წელს ჩოხატაურში მეწმენეკური მთავრობის წინააღმდეგ ბოლშევიკების შეიარაღებულ აჯანყებაში. 1933-34 წლებში მუშაობდა ფარცხმის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და აქტიურად იბრძოდა საკოლმეურნეო ცხოვრების გახმაკაცებისათვის. კ. ცინცაძე დაჯილდოებული იყო რამდენიმე მედლით.

შრომისმოყვარე და თავმდაბალი მუშაკის კ. ცინცაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფგ 07422

საქ. კპ ცკ-ეს გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.